ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 25 აგვისტო 2004 №196 (2217) ფასი 50 თეთრი


# გუშინ ათენში ქართველებმა საქმე არჩიეს

## ბერძნულ-რომაულმა სამართალმა ირაკლი ჭოჭუა შეიწირა, მანუჩარ კვირკველია კი დასაჯა



მანუჩარ კვირკველიას საქმე ცუდად წაუვიდა და წაუვა

პირველი დღე ნავსიანი გამოდგა ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ქართველებისთვის. გუშინ ოთხმა დაიწყო და დაამთავრა კიდეც ათენური გამოსვლა. მათგან მხოლოდ ერთმა, 55-კილოგრამიანმა ირაკლი ჭოჭუამ მოახერხა ჯგუფიდან გაღწევა, თუმც მეტით ველარ წაიწია. მეოთხედფინალში უკრაინელ ალექსეი ვაკულენკოსთან ჭიდილში მსაჯების შეგნებული თუ შეუგნებელი უთავბოლობის გამო დამარცხდა.

ჯგუფიდან ვერ გავიდნენ მირიან გიორგაძე (მძიმე) და მსოფლიოს ჩემპიონები მანუჩარ კვირკველია (66კგ) და მუხრან ვახტანგაძე (84 კგ.). ამასთან, კვირკველიამ თურქ სერიფ ეროლლუსთან პირველივე შეხვედრაში ჯერ მეტოქეს და მერე მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა და მკაცრი სასჯელი დაიმსახურა — შეჯიბრიდან მოხსნეს და შესაძლოა, სერიოზულ ჯარიმა-დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრას ხელი.

დღეს კი ორი დარჩენილი ბერძენ-რომაელი გავა ხალიჩაზე — სიდნეის ბრინჯაოს პრიზიორი აკაკი ჩაჩუა (60 კგ.) და რამაზ ნოზაძე (96 კგ.).







### ელენა ისინბაევა მსოფლიოს რეკორდს გადაევლო, ჰიშამ ელ გერუჯმა კი ისევ იგერუჯა

REUTERS ათენიდან



# ATHENS 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004

## 24 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

ATHENS 2004

### მძლეოსნობა

**კაცები**

**3000 მ. წინაღობებით**

1 ეზეკილ კემბოი (კენია) 8:05.81
2 ბრიმინ კიპრუტო (კენია) 8:06.11
3 პოლ კიპსელე კოეჩი (კენია) 8:06.64

**1500 მ.**

1 ჰიშამ ელ გურუჯი (მოროკო) 3.34,18 წთ
2 ბერნარდ გალატი (კენია) 3.34,30
3 რუი სილვა (პორტუგალია) 3.34,68

**ათჭიდი**

1 რომან სერბლე (ჩეხეთი) 8893 ქულა
2 რაიან კლეი (აშშ) 8820
3 დმიტრი კარპოვი (ყაზახეთი) 8725

**ქალები**

**400 მ.**

1 ტონიკ უილიამს-დარლინი (ბაჰამები) 49,41 წმ
2 ანა გევარა (მექსიკა) 49,56
3 ნატალია ანტიუხი (რუსეთი) 49,89

**ჭოკით ხტომა**

1 ელენა ისინბაევა (რუსეთი) 4,91 მ
2 სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,75
3 ანა როგოვსკაია (პოლონეთი) 4,70

**100 მ. თარჯრბენი**

1 ჯოანა ჰეიესი (აშშ) 12,37 წმ
2 ოლენა კრასოვსკაია (უკრაიანა) 12,45
3 მელისა მორისონი (აშშ) 12,56

### წყალში ხტომა

**კაცები**

**ტრამპლინი. 3 მ.**

1 პენ ბო (ჩინეთი)
2 ალექსანდრ დესპატიე (კანადა)
3 დმიტრი საუტინი (რუსეთი)

### ველოტრეკი

**კაცები**

**სპრინტი**

1 რაიან ბეილი (ავსტრალია)
2 ტეო ბოსი (ჰოლანდია)
3 რენე ვოლფი (გერმანია)

**რბოლა ქულებზე**

1 მიხეილ იგნატიევი (რუსეთი)
2 ხუან ლანეირასი (ესპანეთი)
3 გვიდო ფულსტი (გერმანია)

**ქალები**

**სპრინტი**

1 ლორი-ენ მიუნცერი (კანადა)
2 ტამილა აბასოვა (რუსეთი)
3 ანა მირესი (ავსტრალია)

### ძალოსნობა

**კაცები**

**105 კგ**

1 დმიტრი ბერესტოვი (რუსეთი) 425,0 კგ
2 ფერენც ჟიურკოვიჩი (უნგრეთი) 420,0 კგ
3 იგორ რაზვორონოვი (უკრაიანა) 420კგ

### ცხენოსნობა

**კაცები**

**გუნდური კონკური**

1 გერმანია
2 აშშ
3 შვედეთი

### პლაჟის ფრენბურთი

**ქალები**

1 აშშ
2 ბრაზილია
3 აშშ



100 თარჯებიან მეტრზე კანადელმა პერდიტა ფელისიენმა თავადაც წაიბორძიკა და რუსი ირინა შევჩენკოც მოიყოლა

REUTERS ფოტოები




3000 მეტრზე წინაღობებით კენიელებს ვერავინ შეეტოქა

### მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 25 | 28 | 19 | 72 |
| 2 | ჩინეთი | 24 | 15 | 12 | 51 |
| 3 | იაპონია | 15 | 8 | 9 | 32 |
| 4 | ავსტრალია | 14 | 9 | 14 | 37 |
| 5 | რუსეთი | 9 | 18 | 21 | 48 |
| 6 | გერმანია | 9 | 10 | 13 | 32 |
| 7 | საფრანგეთი | 9 | 7 | 9 | 25 |
| 8 | იტალია | 8 | 6 | 7 | 21 |
| 9 | რუმინეთი | 8 | 4 | 4 | 16 |
| 10 | უკრაინა | 8 | 3 | 6 | 17 |
| 11 | დიდი ბრიტანეთი | 7 | 8 | 7 | 22 |
| 12 | ს. კორეა | 6 | 10 | 5 | 21 |
| 13 | საბერძნეთი | 5 | 2 | 2 | 9 |
| 14 | ჰოლანდია | 3 | 7 | 8 | 18 |
| 15 | უნგრეთი | 3 | 6 | 1 | 10 |
| 16 | შვედეთი | 3 | 0 | 2 | 5 |
| 17 | თურქეთი | 3 | 0 | 1 | 4 |
| 18 | კანადა | 2 | 4 | 1 | 7 |
| 19 | ბელარუსი | 2 | 3 | 6 | 11 |
| 20 | პოლონეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| 21 | სლოვაკეთი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 22 | ბულგარეთი | 2 | 1 | 5 | 8 |
| 23 | ეთიოპია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 24 | საქართველო | 2 | 1 | 0 | 3 |
| 25 | ტაილანდი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 26 | ჩილე | 2 | 0 | 1 | 3 |
| 27 | ახალი ზელანდია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 27 | ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 29 | ესპანეთი | 1 | 7 | 3 | 11 |
| 30 | კენია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 31 | ჩეხეთი | 1 | 3 | 3 | 7 |
| 32 | კუბა | 1 | 1 | 6 | 8 |
| 33 | ინდონეზია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 33 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 33 | ბრაზილია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 36 | ზიმბაბვე | 1 | 1 | 1 | 3 |
| 37 | ლიტვა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 37 | მაროკო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 39 | დანია | 1 | 0 | 5 | 6 |
| 40 | ბელგია | 1 | 0 | 2 | 3 |
| 41 | შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 42 | საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 42 | კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 42 | ბაჰამები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 45 | ავსტრია | 0 | 4 | 1 | 5 |
| 46 | ჩრდ. კორეა | 0 | 3 | 1 | 4 |
| 47 | ხორვატია | 0 | 2 | 2 | 4 |
| 48 | პორტუგალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 49 | სლოვენია | 0 | 1 | 3 | 4 |
| 50 | ესტონეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 51 | ტაივანი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 51 | ყაზახეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 53 | ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 53 | ჰონკონგი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 53 | სერბეთ-ჩერნიგორია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 53 | ინდოეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 53 | ლატვია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 53 | მექსიკა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 59 | აზერბაიჯანი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 59 | არგენტინა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 61 | კოლუმბია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 61 | იამაიკა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 61 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 61 | ისრაელი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 61 | ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 61 | ერიტრეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 61 | ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანუჩარ კვირკველია ააგდეს და გააგდეს

**დავით ქევხიშვილისა** და ნიკოლოზ იზორიას ბედი გუშინ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ირაკლი ჭოჭუამაც გაიზიარა. ნახევარფინალს ერთი ნაბიჯილა აშორებდა და საუკეთესო ოთხეულში მოხვედრასაც გაინაღდებდა, რომ არა არაობიექტური მსაჯობა. უკრაინელ ალექსეი ვაკულენკოსთან ქართველმა საკმაოდ კარგად იჭიდავა, ბლომად ილეთებიც აკეთა, მაგრამ რამდენიმე შეუფასებლად დატოვეს, ერთხელ რატომღაც მეტოქესაც წაუმატეს და ძირითადი დრო 12:12 დაასრულეს. დამატებითში კი ირაკლიმ ალალად წააგო და მორიგი მედლის იმედიც გაქრა.

მეოთხე ოლიმპიური მედალი ქართულ ყულაბაში გუშინ ვერაფრით რომ ვერ ჩავარდებოდა, ყველამ თავიდანვე იცოდა. ჩვენი უმთავრესი ფავორიტები — მოჭიდავეები ბრძოლაში კი ჩაებნენ, მაგრამ პირველ დღეს მხოლოდ ნახევარფინალში გამსვლელ შეხვედრებამდე უნდა მისულიყვნენ. ოთხი ბერძენ-რომაელისგან ჰიმნს თუ არა, საპრიზო ადგილს დღეისთვის ველოდით, თუმც ამაოდ. დღევანდელი დღეც უმედლოდ ჩაივლის, ხოლო ხვალ რას ვიზამთ, ორ დარჩენილ ბერძენ-რომაელზეა დამოკიდებული.

ყველაზე მძიმე ჯგუფი მსოფლიოს ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას (66კგ) ერგო. უმთავრეს მეტოქეს, თურქ სერიფ ეროღლუს პირველსავე შეხვედრაში დაეჭიდა და მასთან ისედაც უარყოფითი ბალანსი კიდევ უფრო გაიუარესა. მანუჩარს პრეტენზიები ჰქონია მეტოქესთან და მსაჯებთან, აღელვებულს ნერვები ველარ მოუთოკავს და ჯერ თურქისთვის, მერე კი არბიტრებისთვის შეურაცხყოფაც მიუყენებია, რასაც საბოლოოდ მისი ტურნირიდან მოხსნა მოჰყვა.

ქვეჯგუფს ვერ გასცდა სიდნეის ბრინჯაოს პრიზიორი მუხრან ვახტანგაძე (84კგ.). პირველივე ბრძოლაში ეგვიპტელ მუჰამედ მუჰამედთან წააგო და ამერიკელ ბრედ ვერინგთან საჭიდაოდ აღარც გასულა. ეს შეხვედრა აღარაფერს წყვეტდა, რადგან მანამდე მუჰამედს ვერინგის ძლევაც მოესწრო.

პირდაპირ ნახევარფინალში შეეძლო გასვლა მირიან გიორგაძეს (120კგ). ამის უფლებას მას ოთხკაციან ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება აძლევდა. შვედ ედი ბრენგსტონთან პირველი მარცხის შემდეგ ყაზახეთის სახელით მოჭიდავე გიორგი წურწუმიას აჯობა და გამსვლელი ადგილისთვის ბოლო წინაღობად იმავე წურწუმიასგან ძლეული ბერძენი ქსენოფონ კოციუმპასი რჩებოდა. სამწუხაროდ, გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება ველარ შეძლო და ჯგუფში ჩარჩა, თუმც ნახევარფინალისტობით ვერც ბერძენმა გაიხარა. ოთხეულში საუკეთესო წურწუმია გახდა.





მანუჩარ კვირკველიამ ბეგი დარჩიაც დაალალატა და თანაგუნდელებიც

ირაკლი ჭოჭუას (55კგ) მეოთხედფინალზე თავში მოგახსენეთ, იქამდე კი ჩვენებურმა ქვეჯგუფში თურქ მსოფლიოს ჩემპიონ ერქან ილდიზსა და ლიტველ შვაიუნას ადომაიტისს სძლია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მოგმების გარეშე. კიდევ სცადეთ!

## მსაჯების ბოდიში ჭრილობაზე მარილია

**ბეგი დარჩიას** შეგირდებიდან ოთხი გუშინ ჩაერთო ათენურ ციებ-ცხელებაში. ნამდვილად არ ველოდით ასეთ უფერულ სტარტს, მაგრამ რეალობა ასეთია: ვერცერთმა მათგანმა ვერ უწია ნახევარფინალს, რაც მსოფლიოს რჩეული ნაკრებისთვის ფიასკოზე მეტია. დღეს აკაკი ჩაჩუა (60კგ) და რამაზ ნოზაძეც (96კგ) გავლენ ხალიჩაზე. აკაკიმ და რამაზმა თავიანთი თანაჯგუფელების ვინაობა შეიტყვეს და შედარებაც არ არის: გუშინდელი კენჭისყრა ბევრად უფრო „ლმობიერი" გამოდგა ქართველებისთვის.

სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ჩაჩუა არცთუ ძნელ ჯგუფში მოხვდა და ოთხი წლის წინანდელი შედეგის გამეორება (ან გაუმჯობესება) თამამად შეუძლია, მით უმეტეს, მის წონაში გამორჩეული „დომინატორი" არ არსებობს. „პატარა კარელინად" წოდებული ნოზაძე კი საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა გუნდის უპირველესი იმედია და თანაწონოსანთა შორის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. საგულისხმოა, რომ 20 წლის რამაზს ჯგუფში მეტოქედ ერგო უკრაინის სახელით მოასპარეზე დავით სალდაძე, რომელსაც შარშან საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის შეხვედრა მოუგო. იმავე ჩემპიონატზე ჩოქბჯენის ოსტატმა ნოზაძემ ნახევარფინალი ეგვიპტელ გოლიათ აბრაჰამთან დათმო, ვისთანაც ათენში ფინალამდე არ მოუწევს ჭიდილი. 96 კგ წონაში ქართველების ცვენაა: ნოზაძისა და სალდაძის გარდა, გენადი ჩხაიძე (ყირგიზეთი) და გოგი კოლუაშვილიც (რუსეთი) აქ არიან. კოლუაშვილთან რამაზს ტკბილი მოგონებები აკავშირებს, რადგანაც შარშან ჯერ ევროპის ჩემპიონატზე მოუგო სუფთად და შემდეგ მსოფლიო თასზეც დაჩაგრა.

... მაგრამ რა მოხდა გუშინ? მუხრან ვახტანგაძისა და მირიან გიორგაძის წაგებები კიდევ იოლად ასახსნელია, მაგრამ ირაკლი ჭოჭუას მეოთხედფინალურ ბრძოლაში კიდევ ერთხელ შეგვახსენეს თავი ჩვენმა „ერთგულმა" მსაჯებმა, ხოლო მანუჩარ კვირკველია ცალკე თემაა...

მანუჩარს პირველივე ბრძოლის შემდეგ დისკვალიფიკაცია მისცეს, რისი მიზეზიც არასპორტული საქციელი იყო: ქართველმა თურქ მეტოქე ეროღლუს ჯერ ფეხი მიარტყა, შემდეგ კი ხელი ჰკრა, რის გამოც მსაჯებმა შეჯიბრიდან მოხსნეს. კვირკველია კი იმაზე აღშფოთდა, რომ ეროღლუ თურმე წამდაუწუმ ხელს უტეხავდა. ლამის თითები მოუმტვრევია და მსაჯებსაც ამ მომენტებზე თვალი დაუხუჭავთ.

დამაინც, ეს ვერანაირად ვერ ამართლებს ქართველ მსოფლიოს ჩემპიონს, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია არა, მაგრამ საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია კი მკაცრად დასჯას უპირებს (ჯერჯერობით უცნობია, როგორ).

რაც შეეხება ჭოჭუას, ქართველ ბერძენ-რომაელთა თავკაცი ბეგი დარჩია მასზე იმდენად არ აღშფოთებულა, როგორც მსაჯებზე: ჭოჭუა — ვაკულენკოს მეოთხედფინალური ჭიდილის ბოლო წუთზე უკრაინელს საიდანაღაც „გამოჩხრიკული" 2 ქულა აჩუქეს, რამაც საბოლოოდ ჩვენებურის მარცხი გამოიწვია. ბეგი დარჩია მსაჯებს მივარდნია, მაგრამ მათგან „SORRY, SORRY-ს" მეტი ვერაფერი მოისმინა — მოკლედ, თემიდას შეცდომები ულიარებია და ბოდიში მოუხდია, მაგრამ ბოდიში რომ საქმეს შველოდეს...

**ილია ნანობაშვილი**

**60 კგ**
**ჯგუფი**

1 აკაკი ჩაჩუა
2 პაოლო ფუჩილე (იტალია)
3 ნურდან კოიჟაიგანოვი (ყაზახეთი)

25 აგვისტო: ჩაჩუა — ფუჩილე (10:55სთ); ჩაჩუა — კოიჟაიგანოვი (13:55)

26 აგვისტო: მეოთხედფინალი — სავარაუდო მეტოქეები: ალექსეი შევცოვი (რუსეთი), იურეკ კოლი (გერმანია), ლინუერ აი (ჩინეთი); ნახევარფინალი; ფინალი

**46 კგ**
**ჯგუფი**

1 რამაზ ნოზაძე
2 მირკო ენგლიხი (გერმანია)
3 დავით სალდაძე (უკრაინა)

25 აგვისტო: ნოზაძე — ენგლიხი (10:50); ნოზაძე — სალდაძე (12:50)

26 აგვისტო: მეოთხედფინალი — სავარაუდო მეტოქეები: გოგი კოლუაშვილი (რუსეთი), მარტინ ლიდბერგი (შვედეთი), სიარჰი დიშტვანი (ბელარუსი); ნახევარფინალი; ფინალი







# ილარიანმა ოლიმპიადა 13,72 წამში მოიითავა

მორჩა — მოჭიდავეთა გარდა, ქართველებს ათენში საქომაგო აღარავინ შემოგვრჩა. გუშინ მძლეოსანმა დავით ილარიანმაც მოილია ოლიმპიადა და როგორც მოსალოდნელი იყო, მეტნაკლებად ღირებულ შედეგს ვერ შესწვდა. 20 წლის ქართველი 110 მეტრზე თარჯრბენში მონაწილეობდა და საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფში 8 სპორტსმენს შორის მე-6 ადგილი დაიკავა. ილარიანმა დისტანცია 13,72 წამში გაირბინა, რითაც უნგრელი და ბრიტანელი მძლეოსნები, შესაბამისად, 0,01 და 0,03 წამით ჩამოიტოვა. ამ გარბენში საუკეთესო კი კუბელი ანიერ გარსია იყო — 13,24 წამი და ბარემ აქვე გეტყვით, რომ 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდი 12,91 წამია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი




REUTERS ათენიდან

გაუნგრელებულმა კარლოს პერესმა კორეელებს ოთხჯერ გაუტანა

# ხელბურთი ევროპას დარჩა

**კაცები**
**მეოთხედფინალი**
**უნგრეთი 30:25 კორეა**
**ხორვატია 33:27 საბერძნეთი**
**გერმანია 32:30 ესპანეთი**
**რუსეთი 26:24 საფრანგეთი**

ხელბურთელთა ტურნირი ათი დღე კია, რაც მიმდინარეობს, მაგრამ ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ გუშინ, პლეი ოფში დაიწყო. მანამდე, ჯგუფურ ეტაპზე, გუნდებს ძალების დაზოგვის საშუალება საკმაოდ ჰქონდათ.

ვაჟთა მეოთხედფინალურ წყვილებიდან მხოლოდ ერთში ჩანდა გამოკვეთილი ფავორიტი — მსოფლიოს ჩემპიონ ხორვატიას „ცალი ხელით" უნდა დაემარცხებინა მასპინძელთა გუნდი. დანარჩენ სამ შეხვედრაში ბოლო წუთებამდე დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი.

პირველად უნგრეთი და კორეა შეეჭიდნენ ერთმანეთს. დასაწყისი მადიარების იყო — შუა ტაიმში სამი ბურთით დაწინაურდნენ (7:4) უმთავრესად თავიანთ მთავარმეგოლე იშტვან პასტორის ზუსტი ტყორცნების და მეკარე ნანდორ ფაზეკაშის ბრწყინვალე რეაქციის წყალობით. შვიდიდან ხუთი გოლი 33 წლის პასტორის იყო, ფაზეკაშმა კი 11-დან შვიდი პირისპირ ნასროლი მოიგერია.

ტაიმის მიწურულს აზიელებმა შეძლეს ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება — 13:14. მატჩის მეორე ნახევარი გაცილებით თვალსასეირო გამოდგა, ბრძოლა კარგახანს ბურთი ბურთში მიდიოდა და მე-13 წუთზე კორეელებმა პირველად მოახერხეს წინ გასვლა — 21:20, მაგრამ მათი ბედნიერება სულ ხუთიოდ წუთს გაგრძელდა. ფიზიკურად ბევრად ძლიერმა და უფრო მრავალფეროვნად მოთამაშე უნგრელებმა ზედიზედ სამი უპასუხო გოლით კვლავ დაიბრუნეს მეწინავეობა — 24:22 და საბოლოოდ გატეხეს ერთადერთი არაევროპელი მეოთხედფინალისტის წინააღმდეგობა.

წყალბურთი

# რუსებო, ქიშ!

**A ჯგუფი**
**უნგრეთი 7:6 რუსეთი**
**სერბეთი 9:4 აშშ**
**ხორვატია 5:4 ყაზახეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 44:27 | 10 |
| სერბეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 37:26 | 8 |
| რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 32:28 | 6 |
| აშშ | 5 | 2 | 0 | 3 | 32:37 | 4 |
| ხორვატია | 5 | 1 | 0 | 4 | 35:41 | 0 |
| ყაზახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 21:42 | 0 |

**B ჯგუფი**
**საბერძნეთი 6:4 იტალია**
**გერმანია 6:6 ავსტრალია**
**ესპანეთი 12:4 ეგვიპტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 43:27 | 8 |
| გერმანია | 5 | 3 | 1 | 1 | 40:28 | 7 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 35:31 | 6 |
| იტალია | 5 | 3 | 0 | 2 | 39:24 | 6 |
| ავსტრალია | 5 | 1 | 1 | 3 | 37:35 | 3 |
| ეგვიპტე | 5 | 0 | 0 | 5 | 18:67 | 0 |

**ოლიმპიური** წესების თანახმად, ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები პირდაპირ გადიან ნახევარფინალში, მათმომდევნო ორ-ორი გუნდი კი ერთმანეთს სამეოთხედფინალებოდ შეეჯახება. უკანასკნელი ტურის შედეგად პირველ ჯგუფში ნახევარფინალამდე უქმობის უფლება წინა ოლიმპიადის ჩემპიონმა უნგრელებმა მოიხვეჭეს, ხოლო მეორეში — ყველასათვის მოულოდნელად — მასპინძელმა ბერძნებმა.

უნგრელებმა რუსების გატეხვა მესამე მეოთხედში შეძლეს, როცა მათმა ცენტრალურმა შემტევმა გერგელი კიშმა წუთზე ნაკლებ დროში ორი გოლი შეაგდო. მართალია, სამი ბურთით ჩამორჩენილმა რუსებმა უკანასკნელში შვიდწუთეულში შმაგად გაიბრძოლეს და სხვაობა მინიმუმამდეც დაიყვანეს, მაგრამ მარცხს მაინც ვერ დაუძვრნენ. რევაზ ჩომახიძე რუსთა გუნდს ამ მატჩში ერთი გოლით შეეწია.

A ჯგუფში მეორე ადგილი კი სერბებმა და ჩერნიგორიელმა ირგუნეს — რატკო რუდიჩის ნაქებმა ამერიკამ ტურნირს თავის კვალი ეგრეც ვერ დაამჩნია. სერბთა მთავარმეგოლე ალექსანდარ საპიჩმა კი თავის ყულაბაში მორიგი ჰეთთრიქი ჩააპირქვავა.

რაც შეეხება B ჯგუფს, აქ მასპინძლებმა იტალიელებს მხოლოდ მატჩის მიწურულს აჯობეს. საფინალო სირენამდე ორი წუთითა და ხუთი წამით ადრე თეოდორუს კაცითეოდორუსმა 4:4 ფრე გატეხა და თავისიანები დააწინაურა, წუთისა და რვა წამის შემდეგ კი ბერძენთა მოგებას მსუყე ბეზე დაადგა ანასტასიოს სქიძასმა, რომლის გოლსაც აუზზე შემოკრებილი მილეთის გამაყრუებელი ღრიანცელი მოჰყვა.

**ლევან ძელაურაძე**

მძლეოსნობა

# დაგვიბრუნეთ კოსტასი!

## ბერძნებმა ბოიკოტი გამოაცხადეს




REUTERS ათენიდან

ბერძნები დღემდე მისტირიან კოსტას კენტერისს

ათენის ოლიმპიადის ორგანიზატორმა იანა ანგელოპულოსმა თამაშების გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე რიხით გამოაცხადა, იმ ავ ენებს, რომლებიც ცარიელ ტრიბუნებს გვიწინასწარმეტყველებენ, პირადად ვპირდები ანშლაგებსო. საინტერესოა, თავად ქალბატონ იანას მართლა სჯეროდა ამის, თუ უბრალოდ იხტიბარს არ იტეხდა. ბევრი სკეპტიკურად იყო განყობილი, ჩახედული ხალხი ამბობდა, ბოლო ოლიმპიადებიდან ეს ყველაზე ცარიელტრიბუნიანი იქნებაო და ასეც გამოვიდა. თავი დავანებოთ ბერძნეთა საყვარელ ძალოსნობას, კალათბურთსა და კიდევ ერთი-ორს. საკმაოდ სანახაობრივ სახეობებსაც უჭირთ სტადიონებისა თუ დარბაზების შევსება.

გუშინ ათენის ოლიმპიური სტადიონი ნახევრად ცარიელი მასპინძლობდა მძლეოსნებს.

მერე რა, რომ ქალთა და, მით უმეტეს, კაცთა 100 მეტრის ფინალები უკვე ჩავლილია. გუშინ მძლეოსნობაში მედლების არაერთი კომპლექტი გათამაშდა.

მაყურებელთა გულგრილობა არა მხოლოდ ბილეთის ლამის კატასტროფულმა ფასმა გამოიწვია — იგივე მძლეოსნობაზე დასწრება, არც მეტი არც ნაკლები, 400 ევრო ღირს. ბერძნებმა თურმე თავიანთი კერპის, სპრინტერი კოსტას კენტერისის არყოფნის გამო უგანეს სტადიონს. 200 მეტრზე რბენაში სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონ კენტერისს წესით გუშინ 200 მეტრის საკვალიფიკაციო გარბენში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ თქვენც მოგეხსენებათ, იგი მოხსნილია ოლიმპიადიდან. მიზეზზე არაერთხელ დაგვიწერია — კოსტასი დოპინგ-ტესტზე არ გამოცხადდა, იმ საბაბით, რომ ავარიაში მოჰყვა, როცა დოპინგ-კონტროლზე მოიჩქაროდა, მაგრამ ეს საპატიო მიზეზად არ ჩაეთვალა და დარჩა ბილეთები გაუყიდავი.

„არ მაინტერესებს, რა მოხდა კულისებში, მე აქ მისი გამოსვლის სანახავად შორიდან ჩამოვედი და კოსტასის არყოფნაში სულაც არ ვაპირებ, ვილაცეების სირბილს დავესწრო" — კაპასობს ერთი ბერძენი ქალბატონი, რომელიც ერთ-ერთი კუნძულიდან ჩასულა ათენს...

კენტერისის არყოფნაში კი საკვალიფიკაციო გარბენში საუკეთესო დრო აჩვენეს ამერიკელმა ბერნარდ უილიამსმა და მავრიკელმა სტივენ ბაკლანდმა. მათ ფინიში სტარტიდან 20,29 წამში გადაკვეთეს.

დღეს 200-მეტროსნები ნახევარფინალში ირბენენ და ხვალისთვის რვა ფინალისტს შეარჩევენ. ამათში, თავისთავად ცხადია, არ იქნება ის ყბადაღებული კენტერისი.

**კოტე ყორშია**

ფრენბურთი




REUTERS ათენიდან

ანატოლი კარპოლის გოგონები ნახევარფინალში რიხით და გიქმაჟი მწვრთნელის ყვირილით გავიდნენ

**ქალები**
**მეოთხედფინალები**

| | |
|---|---|
| ჩინეთი 3:0 იაპონია | კუბა 3:2 იტალია |
| რუსეთი 3:0 ს. კორეა | ბრაზილია 3:2 აშშ |

კალათბურთი

# აი, შაირი!

## სერბეთი მეორეა, ოღონდ ბოლოდან

მე-9 ადგილისთვის
**ავსტრალია 98:80 ახ. ზელანდია**
**ავსტრალია:** ჰელი (30)
**ახალი ზელანდია:** ჯონსი (26)

მე-11 ადგილისთვის
**სერბეთი 83:62 ანგოლა**
**სერბეთი:** შეპანოვიჩი (18)
**ანგოლა:** მონტეირო (26)

აი, ასე სამარცხვინოდ დაამთავრეს ოლიმპიადა მსოფლიოს ჩემპიონმა სერბებმა. ანგოლა აფრიკის მარადი ჩემპიონი და ბოლო წლების ყველა მსოფლიო პირველობისა თუ ოლიმპიადის მონაწილე გახლავთ და ამდენად, მათი 21 ქულით წაქცევა ულიმღამო გამარჯვებად არავის ჩაეთვლება, მაგრამ სერბებს იმის უნდა რცხვენოდეთ, რომ ანგოლას 12 გუნდში მე-11 ადგილის დასაკავებლად შეხვდნენ. ვერ ვიხსენებთ, ბოლოს როდის დაჩანაკდნენ სერბები ასე. ჯგუფიდან ვერგასვლა? ასეთ პროგნოზზე ჟელკო ობრადოვიჩის „ლომები" სასაცილოდ აიგდებდნენ ყველას, მიუხედავად იმისა, რომ რჩეული ნბა-ელების გარეშე დარჩნენ და ათენში მხოლოდ სიეტლელი ვლად რადმანოვიჩი და ევროპაში მობურთავე ბიჭები ჩაიყვანეს.

მაგრამ ფაქტი ჯიუტია და მათთვის ძალზე სამარცხვინოც. სერბებმა ჯგუფში იტალიის გარდა ყველასთან წააგეს, თვით აუტსაიდერ ახალ ზელანდიასა და ჩინეთთანაც კი და ბოლო ადგილი დაიკავეს, ისევე როგორც B ჯგუფში ანგოლამ.

მეცხრე ადგილისთვის მატჩში კი ოკეანეთელთა დერბიში ავსტრალიამ ვეტერანი შეინ ჰელის მეთაურობით დამაჯერებლად დაამარცხა ახალი ზელანდიის საკმაოდ სიმპათიური ნაკრები.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ობიექტი



სხვა? ღელავს ხალხის ზღვა




დიდი ჩინური კედელი




რამე ხომ არ იტკინე, პაწიავ?




ოქრო დაანახე და თავზე დაგისვამს

ფეხები მაღლა!



ევროპაში ქართველების მეპატრონედ ცნობილი სალივან რიდი ფრანგული პსჟ-ს პრეზიდენტად დაინიშნა და ერთი პირობა ჩვენებურთა თავის გუნდში მიყვანა დააპირა, თუმც ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ქართველის დაბევება მოახერხა. დიჟონელი გიორგი მამაცაშვილი ვიზის მოლოდინშია და პარიზისკენ უჭირავს თვალი, სადაც მას განახლებული პსჟ ელის. რიდს სურდა, პსჟ-ში ეხილა ვიქტორ სანიკიძეც, მაგრამ „დიჟონმა“ არ დაუთმო, ხოლო დავით საყვარელიძემ ფრანგული „შალონი“ ირჩია და მალე ისიც დატოვებს საქართველოს...



გიორგი მამაცაშვილი ოდისეას პარიზში აგრძელებს

# საყვარელიძე რიდს არ მოერიდა

## პარიზში ქართველებს ელებენ

— ახლახან, ვალებში ჩაფლული პსჟ სატრანსფერო სააგენტო „ენტერსპორტმა“ და ტონი პარკერმა იყიდეს — გვითხრა გიორგი მამაცაშვილმა — როგორც იცით, „ენტერსპორტში“ მუშაობს ჩემი მენეჯერი სალივან რიდი, რომელიც ამ სააგენტოს ხელმძღვანელმა მარკ ფლეიშერმა გუნდის პრეზიდენტად დანიშნა. რიდს სურდა, მისი კლიენტი ქართველები პსჟ-ში წავეყვანეთ, მაგრამ ჯერჯერობით იქ მხოლოდ ჩემი წასვლაა გადაწყვეტილი.

— *კიდევ ვისი წაყვანა სურდა რიდს?*

— პირველ რიგში ვიქტორ სანიკიძის, რომელიც არაფრით არ დათმო „დიჟონმა“. სანიკიძეს კონტრაქტი აკავშირებს დიჟონელებთან და მათაც არ გამოუშვეს. ეტყობა, ფიქრობენ, „სან ანტონიო“ რომ წაიყვანს, საკომპენსაციოდ ბლომად ფულს ავიღებთო. მართლებიც არიან. რიდს ასევე უნდოდა დავით საყვარელიძისა და გიორგი ცინცაძის პსჟ-ში წაყვანა, მაგრამ, როგორც ვიცი, ვერ აზერხებს.

— *ცინცაძე ცსკა-შია და რიდს მასზე რა ხელი აქვს?*

— არ ვიცი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი რომ იყო, ნაღდია. ცინცაძე ცსკა-ს საკუთრებაა და რიდს ალბათ მისი იჯარით წამოყვანა სურდა პსჟ-ში.

— *შენ იოლად შეგელივნენ დიჟონელები?*

— მე მათთან პროფესიული კონტრაქტი არ მაკავშირებდა, შეთანხმების თანახმად სეზონის ბოლომდე უნდა ვყოფილიყავით „დიჟონში“ და დრო რომ ამოიწურა, გუნდიდან წამოვედი.

— *უკვე გადაწყვეტილია, რომ პსჟ-ში ითამაშებ?*

— დარწმუნებით ვერ ვიტყვი, სანამ პარიზში არ ჩავალ. რიდს გუშინ ველაპარაკე და მითხრა, პსჟ-ში ითამაშებო, თუმც არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. ახლა საბუთების მოწესრიგებას ველოდები და ამ თვის ბოლოს უკვე პარიზში ვიქნები.

*მამაცაშვილის დარად თვის ბოლოს საფრანგეთში, ოღონდ შალოში უნდა იყოს დავით საყვარელიძეც, რომელსაც სავიზო პრობლემები შეექმნა...*

— საფრანგეთში 21 აგვისტოს უნდა გავფრენილიყავი, მაგრამ მოულოდნელად საემიგრაციო სამსახურთან პრობლემები შემექმნა და პარიზის ავიაბილეთი გამიფუჭდა. საფრანგეთის საკონსულო ისეთ საბუთს ითხოვს, რომელსაც ამ ქვეყანაში ჩასვლის გარეშე არ იძლევიან. ასეთივე ვითარებაშია შალონელი სერგო ათუაშვილიც. საქმის მოგვარებას 1-2 კვირა დასჭირდება.

— *„შალონში“ შენი ჩარიცხვა გადაწყვეტილი ამბავია?*

— კი, აბსოლუტურად ყველაფერი შეთანხმებულია და გუნდში რომ მივალ, კონტრაქტსაც გავაფორმებ. „შალონში“ რომ მივდიოდი, კარგა ხნით ადრე ვიცოდი. რამდენიმე თვის წინ უკვე ვიყავი ამ გუნდში და ჩემი აყვანა შალონელებმა მაშინ გადაწყვიტეს.

— *გავიგეთ, რიდს პსჟ-ში უნდოდა შენი წაყვანა...*

— უნდოდა, მაგრამ თავად მე ვირჩიე „შალონში“ დარჩენა. პსჟ ახლახან გაიყიდა, ფინანსური პრობლემები ჰქონდა და იქ ჯერ დაულაგებელი სიტუაციაა. „შალონი“ კი სტაბილური, ძლიერი გუნდია, იქ უფრო მშვიდი ატმოსფეროა. თანაც შალონელებს უკვე ვიცნობ, მათთან გასინჯვებზე კარგა ხანი ვიმყოფებოდი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ „შალონს“ ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც კარგი თვალით მიყურებს.

— *ძირითად გუნდში ითამაშებ?*

— ეს უკვე ჩემზეა დამოკიდებული, გააჩნია, კონკრეტული მომენტისთვის როგორ ფორმაში ვიქნები. ის კი გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონს „შალონში“ გავატარებ, ოღონდ ძირითად გუნდში ვიქნები თუ დუბლებში, ჩემი მზადყოფნა გადაწყვეტს.

**ირაკლი პერტაია**

# მეტოქეს ცენტრი დაკარგული აქვს

## ბენილუქსმა ფინეთი მოგვითვინიერა

**ტერაქტისგან** ღმერთმა დაგვიფაროს და 11 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ხმაური გველის. ამ დღეს ხომ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს ხელახალი ოფიციალური ევროდებიუტი აქვს — ფინეთს მასპინძლობს.

ჩვენგან განსხვავებით, სკანდინაველებმა ძალიან ბევრი ტესტ-მატჩი დაგეგმეს და ორი მათგანი ამ დღეებში მოილიეს. ჰენრიკ დეტმანის შეგირდები ბელგიას სტუმრობდნენ და ქალაქ გენტში ორჯერ გაეჯიბრნენ მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებს, რომელიც A ჯგუფის ბინადარი გახლავთ. ფინელებმა ორივე თამაში წააგეს — 72:78 და 77:86.

პირველ შეხვედრაში სუომელთაგან გამორჩეული იყო ორმაგი დუბლის მომხვეჭი ტეემუ კოტი (14 ქულა, 13 მოხსნა), რომელიც აშშ-ის კოლეჯ პროვიდენსში თამაშობს. კოტი აშკარად ძლიერი ფრთა ჩანს და ეს ორიოდე კვირის წინ ბალტიის თასის გათამაშებაზეც დაამტკიცა, სადაც ფინელებმა ერთმანეთის მიჯრით დაამარცხეს ესტონეთი, შვედეთი და ლატვია. კვლავ ჯანზეა ნბა-მოვლილი, ამჯერად პეზაროს „სკავოლინიში“ მოთამაშე მეფარე ჰანო მოტოლა, ვინაც ბელგიელებს 20 ქულა ჩაუგდო.

პირველ შეხვედრაში კოტი-მოტოლას თანაგუნდელებს ასეთი მონაგარი ჰქონდათ: ნიკილა (4 ქულა, 3 მოხსნა), ულანდერი (1,1), ლეჰტორანტა (4), კუისმა, ნოოპილა (4,4), მიურინენი (6,2), რიიჰელა, ლეჰტონენი (10,1), ვირტანენი (0,1), რანიკო (9,1).

ბელგიასთან მეორე მატჩში კი ჩვენი მეტოქე დიდი შესვენების შემდეგ 17 ქულას იგებდა (49:32), მაგრამ აქედან მოყოლებული, ფინელებმა თამაშიდან 32-ჯერ ისროლეს და მხოლოდ 9 ჩააგდეს. აი, მათი მონაგარიც: ნიკილა (6,3), ულანდერი (4,2), ლეჰტორანტა (2,1), ნოოპილა (8,4), მიურინენი, კოტი (7,2), რიიჰელა (6,3), ლეჰტონენი (19,3), მოტოლა (13,4), ვირტანენი (0,2), რანიკო (12,1).

ფინეთის ნაკრები ბალტიის თასის შემდეგაც მიმოვიხილეთ და მაშინ ავღნიშნეთ, რომ სტატისტიკიდან გამომდინარე ცენტრის პრობლემა უნდა ჰქონდეთო. ახლაც ასეა, თუმცა იგივე მოტოლასაც შეუძლია 5 ნომრად თამაში და სხვა ფორვარდებიც არ მოიდაბლებენ. ძირითადი ხუთეული კი, ჰენრიკ დეტმანს, ალბათ, დარეგულირებული ჰყავს: რანიკო, ლეჰტონენი, კოტი, მოტოლა, ნიკილა (ან ნოოპილა). და კიდევ, საქართველოს მსგავსად სკანდინაველებსაც ძალზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ.

მომდევნო სპარინგ-მატჩებს ფინები 26-27 აგვისტოს ჰელსინკში გამართავენ შვედეთის ნაკრებთან, ხოლო 2 სექტემბერს ესტონეთში წაითამაშებენ.

**ილია ნანოზაშვილი**



ფინელთა ერთ-ერთი ლიდერი იარი ლეჰტონენი



# ათეულისთვის, სწორდით!

## ქართველი ჭაბუკები ჩემპიონთა კომპანიაში

**მოგეხსენებათ,** საქართველოს 19-წლამდელ ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ემზადება, რომელიც 12 სექტემბერს მალტაზე დაიწყება და მასში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. სოსო მაისურაძის შეგირდები A ჯგუფში მოხვდნენ სერბი, ფრანგი და სლოვაკი თანატოლების კომპანიაში. აქედან ორი საუკეთესო B ჯგუფის ორ რჩეულთან ერთად ნახევარფინალურ ჯგუფს შექმნიან და ანალოგიური სისტემით ითამაშებენ მესამე-მეოთხე ადგილოსნებიც. მოკლედ, თექვსმეტივე ადგილი გათამაშდება.

ქართველ ჭაბუკებს მართლაც ღონიერი მეტოქეები შეხვდათ და, სოსო მაისურაძის თქმით, ჯგუფიდან გასვლა ძალიან ძნელი იქნება — „სლოვაკეთმა შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ადგილი დაიკავა და თანაც, რამდენიმე 18 წლის ბიჭი ჰყავდათ, რომლებიც, ალბათ, მალტაზეც ითამაშებენ. დაახლოებით სლოვაკეთის ძალის გუნდია საფრანგეთიც, ხოლო სერბეთი არათუ ჯგუფის, მთლიანად ჩემპიონატის გამოკვეთილი ფავორიტია. სერბები ლამის ყოველ წელს ფინალში არიან და შარშან გადამწყვეტ მატჩში უძლიერეს უნგრეთს 6 ქულით მოუგეს. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ, მაგრამ ამ ჩემპიონატზე მე-10 ადგილსაც წარმატებად ჩავთლი. საქმე ისაა, რომ გუნდში არ გვყავს 19 წლის არც ერთი წყალბურთელი. ის კი არა, 1986 წელს დაბადებულიც მხოლოდ 3 მოთამაშეა. აი, გაისად ეს ბიჭები გაზრდილები და გაცილებით გამოცდილები იქნებიან.“

სოსო მაისურაძემ სავარაუდო საევროპო შემადგენლობაც დაასახელა:

მეკარეები: ზვიად ჭუმბურიძე (ცსკა), სანდრო ნამორაძე, თორნიკე თოდაძე, დავით ქაჯაია

მოთამაშეები: გურამ კოტარია, გიორგი ხვედელიანი, ნოდან რაფავა, ზურაბ ქენქაძე, ილია ბუტიკაშვილი, მიხეილ ბალათურია (დინამო, მოსკოვი), ზურაბ რურუა, ოთარ ქოიავა, თამაზ მანძულაშვილი (დინამო, მოსკოვი), ირაკლი გოგელია (ცსკა), ტატო ნიკოლეიშვილი, გივი კილურიძე.

**ილია ნანოზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ხმაური

## მანჩესტერმა ფიგუს მადრიდში ჩააკითხა



ამ ათასწლეულში ყველაზე მეტი ლუიშ ფიგუს „ბარსელონადან“ „რეალში“ გადასვლაზე ითქვა და დაიწერა. მას რომ ხმაური მოჰყვა, რონალდოს და ზიდანის ტრანსფერები არ ყოფილა ისეთი ხმაურიანი. ახლა კი შესაძლოა, ლუიშ ფიგუ კიდევ ერთი დიდი გარიგების მონაწილე გახდეს — მისი გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ „რეალმა“ ფიგუს კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა და გაისად ზაფხულში პორტუგალიელი თავისუფალი აგენტი გახდება. თავად ფიგუმაც ამის მერე რამდენჯერმე თქვა, გუნდის გამოცვლა მინდაო.

ბუნებრივია, ერთი წლის მერე ფიგუს მთხოვნელთა რიგი დადგება, ამიტომაც „მანჩესტერი“ ახლავე მზადაა მასში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. მოგეხსენებათ, ოთხი წლის წინ ფიგუ 37 მილიონი ღირდა. ხოლო ინგლისელთა შეთავაზება რომ ძალიან სერიოზულია, იქიდანაც ჩანს, რომ მანჩესტერელი ემისრები უკვე მადრიდში არიან და რეალელებთან მოლაპარაკებას მართავენ.

ფიგუ კი ამბობს: „ინგლისში თამაში დიდებული იქნება, ოღონდ ნუ ავჩქარდებით, ოცნება ყოველთვის არ ახდება ხოლმე“.

**ირაკლი ნინიძე**



# ლაციოს მილანის ორი კაცი

იტალიური გაზეთების ცნობით, „ლაციომ“ ამ კვირის ბოლოს „მილანისგან“ შესაძლოა ორი ფეხბურთელი იყიდოს. მას მერე, რაც ფინანსური პრობლემების გამო მოთამაშეთა კარგა დიდი ჯგუფის გაყიდვა მოუხდა, დედაქალაქის კლუბი დანაკლისის გამოსწორებას ცდილობს. ამბობენ, რომ ახალმა მწვრთნელმა მიმო კაზომ ახალ პრეზიდენტს, კლაუდიო ლოტიტოს შესაძენ თუ სასურველ ფეხბურთელთა გვარები ჩამოუთვალა და მანაც ყურადღებით მოუსმინაო.

ერთი სიტყვით, ლაპარაკია „მილანის“ გარემარბ კრისტიან ბროკიზე, რომელსაც „ლაციოში“ წასვლის ძალიან დიდი სურვილი გამოუთქვამს და ხორვატ დარიო შიმიჩზე, რომელიც გასულ სეზონში ძალიან იშვიათად ხვდებოდა „შავწითელთა“ ძირითად შემადგენლობაში, ხოლო ამ სეზონში ჰოლანდიელი იაპ სტამის დამატების შემდეგ (სხვათა შორის, სწორედ „ლაციოდან“) საერთოდ არ აქვს „სან სიროზე“ ბურთის გაგორების შანსი.

ჩამოთვლილი მილანელების გარდა „ლაციო“ „პარმას“ ცენტრალური მცველის, სებასტიანო სივილიას თაობაზეც ელაპარაკება. კიდევ, ამბობენ, რომ პარასკევს რომაელები ბრაზილიური „გრემიოდან“ კრიშტიან ფორეუ დიონისიუს შეძენას გამოაცხადებენ.

„რომაელებმა ბრწყინვალე წინადადებით მომმართეს — თქვა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა — ახლა ჩემი დიდი სურვილია, უშუალოდ კლუბებმა გამონახონ საერთო ენა“.

**პაპუნა ძიდია**

# კიდევ ვიყიდით

## ბეტეგა მცველებს ეძებს

ევროპაში სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთ კვირაზე ნაკლები დროა დარჩენილი და ერთი შეხედვით, დარჩენილ მცირე დროში დიდ მისვლა-მოსვლას არ უნდა ველოდოთ. მაგრამ ამ დროს „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა იქადნება, ხომ კარგი გუნდი გავაკეთეთ, თუმც ამ დღეებში კიდევ გავძლიერდებითო: „ჩვენ უკვე ვიყიდეთ კაპო, ჩიელინი, ემერსონი, ძებინა, მაგრამ ამით არ ვკმაყოფილდებით. სატრანსფერო ბაზარზე კიდევ რამდენიმე ოპერაციას ჩავატარებთ“.

ბეტეგა არ ამხელს, თუ კონკრეტულად ვის ყიდვას აპირებს კიდევ „ბებერი ქალბატონი“, თუმცა ფიქრობენ, რომ გუნდს უპირველესად ცენტრალური მცველი სჭირდება, რაკი კრიტიკოსები ტურინელებს სწორედ დაცვის სისუსტეზე მიუთითებენ.

„სწორია, დაცვას მართლა მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ — თქვა ბეტეგამ — წინა სეზონში 42 გოლი გავუშვით, რაც ძალიან ბევრია. მეტიც, ჩვენ სწორედ იმიტომ მოვიწვიეთ ფაბიო კაპელო, რომ ის დაცვის დიდი სპეციალისტია“.

ფორვარდებზე კი ბეტეგამ თქვა: „მიკოლის ჩვენგან უდიდესი ნდობა აქვს და ვფიქრობთ, ამ სეზონში მისი კლასი მნიშვნელოვნად ამაღლდება. დელ პიერო? მას რომ ვუყურებ, მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ წელს შეუდარებელი იქნება“.

ბოლოს დავძინოთ, რომ „იუვენტუსის“ უახლოესი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა, რისთვისაც შვედეთში „იურგორდენის“ დამარცხება მართებს, პირველი მატჩი ხომ „დელე ალპიზე“ 2:2 დასრულდა.

**ძოტე ძეძელია**



ფაბრიციო მიკოლი

# აფრიკელის ორი მომავალი

განელი ნახევარმცველის, სტეფან აპიას საქმე ასეა: როგორც ამბობენ, შესაძლოა „იუვენტუსიდან“ წავიდეს. შეგახსენებთ, რომ იგი „ბებერმა“ ქალბატონმა „ბრეშადან“ ერთი წლის წინ შეიძინა, მაგრამ „დელე ალპიზე“ რეგულარულად თამაში ვერა და ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ახალგაზრდა აფრიკელს მაინც დაიტოვებდა „იუვენტუსი“, თუმცა, დღეს მაინც მის ტრანსფერზე ლაპარაკობენ და მის სახელს ორ კლუბთან აკავშირებენ.

ერთი კლუბი ლონდონის „არსენალი“ გახლავთ. არ არის გამორიცხული, აპია სოლ კემპბელის ყიდვასთან დაკავშირებულ სატრანსფერო კომბინაციაში იყოს რამენაირად ჩართული, მეორე კი რომის „ლაციოა“, რომლისგანაც ტურინელებს მასიმო ოდო და სიმონე ინძაგი სდომებიათ.

ოდო, „იუვენტუსის“ ახალ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს დაცვის მარცხენა ფრთაზე სჭირდება, რადგან, როგორც ცნობილია, ლილიან ტურამი ფრთიდან ცენტრში აპირებს გადანაცვლებას.

რაც შეეხება „იუვეს“ ყოფილი ფორვარდის, ფილიპო ინძაგის ძმას, სიმონეს, იგი იტალიის ოცდაშვიდ გზის ჩემპიონს მარკო დი ვაიოს შემცვლელად სჭირდება. დი ვაიოს ესპანეთში გაყიდვის შემდეგ „იუვენტუსის“ თავდასხმაში დარჩნენ დავიდ ტრეზეგე, ალესანდრო დელ პიერო, ფაბრიციო მიკოლი და მარსელო ზალაიეტა.

**პაპუნა ძიდია**



ჯანლუიჯი ბუფონი

# ჭიჭის ბილეთი ჰქონდა

„იუვენტუსს“ პრობლემა გამოუჩნდა — მეკარე ჯიჯი ბუფონი დაშავდა, ოღონდ დღეს შვედეთში, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო საკვალიფიკაციო შეხვედრაში ითამაშებს თუ არა, უცნობია. ერთის თქმა შეგვიძლია: მეკარე „იურგორდენთან“ სათამაშოდ მომზადებულ ფეხბურთელთა სიაში ჩაწერეს და შვედეთის ბილეთიც აუღეს, ოღონდ ისიც ვიცით, რომ ორშაბათს არ უვარჯიშია. რამდენადაც ტურინიდან ჩამოსული ხმები ადასტურებენ, ბუფონმა ძველი ტრავმა გაიმიზეზა, მხარი იტკინა.

შვედეთში „იუვენტუსს“ არ ეყოლებიან ოლიმპიადიდან ახალდაბრუნებული სტეფან აპია, დაშავებულები მარკ იულიანო, მაურო კამორანეზი და პლუს დისკვალიფიცირებული ჯონათან ძებინა.

„ჩვენ უეჭველად გამარჯვება გვჭირდება — ამბობს ტურინელთა გამოცდილი ფრანგი მცველი ლილიან ტურამი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი — ჩვენ, როგორც ირკვევა, ბევრ გოლს ვუშვებთ, მაგრამ ამჯერად მეტოქეზე ერთით მეტის გატანა ძალიან მნიშვნელოვანია“.

როგორც იტალიური პრესა წერს, „ბებერი ქალბატონი“ ამ ზაფხულს, მოსამზადებელ ამხანაგურ შეხვედრებში ძალიან უფერული იყო, მაგრამ ტურამი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და თავს ასე იმშვიდებს.

„ამ დროისთვის იმდენად ცოტა მატჩი გვაქვს ნათამაშები, რომ მსჯელობა და რაიმეს დასკვნა ძლიერნაადრევი მგონია. „იურგორდენთან“ პირველ შეხვედრაში აგრესია გვაკლდა, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ შვედები 2:0 არ დაწინაურდნენ. ახლა, თუ არ გავიმარჯვებთ, შესაძლოა ახალი სეზონის დაწყება მთლიანად გავაფუჭოთ. ეს სწორედ ის გახლავთ, რაც არაფრით არ უნდა დავუშვათ. რაც შეეხება პაველ ნედვეს, ის, თუნდაც ასი პროცენტით არ იყოს მზად, ჩვენი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ფიზიკურად საამისოდ მზად იქნება“.

**პაპუნა ძიდია**



ლილიან ტურამი

# ჯონათან ვუდგეიტის მადრიდული ბედნიერება

*24 წლის ინგლისელი მცველი ჯონათან ვუდგეიტი ახალი სეზონიდან მადრიდის „რეალის" დაცვას გააძლიერებს. „ლიდსისა" და „ნიუკასლის" ყოფილი ფეხბურთელი კასტილიელ ინჩასებს სამეფო თეთრების ერთგულებასა და მოედანზე მათთვის თავგანწირვას ჰპირდება. გთავაზობთ ინტერვიუს ვუდგეიტთან, რომელიც მადრიდის „რეალის" საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.*

— როგორია ჯონათან ვუდგეიტის პირველი მადრიდული შთაბეჭდილებები?

— ჩემთვის ეს დიდი და დაუჯერებელი ბედნიერებაა „რეალში" გადასვლა ნებისმიერი მოთამაშისთვის დიდი პატივია.

— თქვენი ტრანსფერის შესახებ გვიამბეთ...

— გასულ ოთხშაბათს საფეხბურთო აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ „რეალი" ჩემი შეძენით დაინტერესდა. სიმართლე გითხრათ, ამას ვერც ვიფიქრებდი. ტელეფონი ხელში გამიშეშდა, კრიჭა შემეკრა...უსაზღვროდ გაოცებულმა სიხარულიც კი ვერ შევიგრძენი.

— ევროპის ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვეთ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?

—ჯანმრთელობას არ ვუჩივი, ორ-სამ კვირაში სრულ საბრძოლო ფორმაში ვიქნები.

— ინგლისურ პრესასთან საუბარში აღნიშნეთ, რომ ძალიან გსურთ ჩემპიონთა ლიგის მოგება. „სამეფო გუნდს" ამისთვის მიაკითხეთ?

— ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირია. უკვე მაქვს ამ ლიგაში თამაშის გამოცდილება. „ლიდსის" შემადგენლობაში მადრიდის „რეალსაც" შევხვდით... ახლა მინდა, ეს სიამოვნება ისევ განვიცადო.

— იმ მატჩებს ხომ არ გაიხსენებდით?

— მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ამ აზრზე ვარ — „რეალი" მსოფლიოში საუკეთესოა. „ლიდსი" — „რეალის" შეხვედრიდან იეროს, რაულისა და ელგერას კარგი თამაში მახსოვს. დიდებული მობურთალები არიან, რომელთაგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

— მას მერე მადრიდში ბევრი ვარსკვლავი გადავიდა...



— დიახ და ყველა მსოფლიო კლასის ვარსკვლავები. ზიდანი, ფიგუ, ბექჰემი, რონალდო... ეს გალაქტიკოსთა ბრწყინვალე ჯგუფია, რომელიც საოცარ ფეხბურთს ქმნის. მეც ძალიან მინდა, მათ გვერდით მაღალ დონეზე ვითამაშო.

— იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ესპანეთში თქვენამდე ბექჰემი და ოუენი ჩამოვიდნენ, ვუდგეიტისთვის გადაწყვეტილება არც ისე რთული მისაღები იქნებოდა...

— რასაკვირველია, ოუენიცა და ბექჰემიც უზარმაზარ დახმარებას გამიწევენ. ინგლისის ნაკრებიდან ორივეს კარგად ვიცნობ, თუმცა ვიმედოვნებ, მათთან ესპანურადაც მალე ვისაუბრებ.

— ორიოდ წლის წინ სამშობლოში ხმაურიან სკანდალში გაეხვიეთ, რამაც თქვენ სპორტულ კარიერაზეც გარკვეული გავლენა იქონია...

— ინგლისში პრობლემები ჩხუბის გამო მქონდა. ცუდი პერიოდი იყო, ბევრჯერ შევცდი, მაგრამ ასეთი რამისგან ამქვეყნად თითქმის არავინაა დაზღვეული. ადამიანი ხშირად თავის ჩადენილ საქციელს მომხდარი ამბიდან დიდი ხნის შემდეგ ნანობს ხოლმე. დღეს სულ სხვა ადამიანი ვარ.

## ფეხბურთის რუკასთან



**მაროკოელმა** ნახევარმცველმა მუსტაფა ჰაჯიმ „რეინჯერსის" მაისურა მოირგო. ამ უკანასკნელმა თავის ყოფილ კლუბ „ესპანიოლში" დაბრუნებას „ჩაფრებში" გადასვლა ამჯობინა. „აიბროქსზე" ჰაჯის ძველი თანაგუნდელი გრეგორი ვანოლი დახვდება, რომელიც ადრე „ესპანიოლის" ღირსებას იცავდა. მაროკოელისთვის ბრიტანული ფეხბურთი უცხო სულაც არ არის, იგი აქამდე „ასტონ ვილასა" და „ქოვენთრიში" თამაშობდა. ჰაჯი „რეინჯერსთან" ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**შოტლანდიური** „რეინჯერსის" აპელაცია ალექს რაესთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის ან შემცირების შესახებ უშედეგო გამოდგა. შეგახსენებთ, რომ რაე ცსკა-სთან მატჩში სერგეი დადუს ეუხეშა, რის შედეგადაც შეიძლებოდა, ამ უკანასკნელს სერიოზული ტრავმა მიეღო. უეფამ ხელახლა განიხილა ყველა დეტალი და პირვანდელი გადაწყვეტილება ანუ 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა.

**იტალიურმა** „რომამ" ორი პერსპექტიული მოთამაშე გაანათხოვრა. დედაქალაქში „იუვენტუსიდან" წლეულს გადაბარგებული 23 წლის ნახევარმცველი მატეო ბრიგი მომავალ სეზონში „კიევოში" ითამაშებს, ხოლო 21 წლის ჩეზარე ბოვო, რომელიც ამჟამად ოლიმპიადაზე თამაშობს, ორი წელი „პარმას" შეეშველება. ბოლო ორი სეზონი ბოვომ „ლეჩეში" გაატარა.

**ფრანგულ** „მონაკოს" ცოტა ხნის წინ ხავიერ სავიოლას ან ნიკოლას ანელკას თხოვება უნდოდა და არც ერთ-ერთი მათგანის ყიდვაზე აცხადებდა უარს. თუმცა, სავარაუდოდ, ფრანგებს ორივეს დავიწყება მოუწევთ. „ვერც ერთს ვერ მოველაპარაკეთ. დიდიე დეშანს განსაკუთრებით ანელკასი ეიმედებოდა, მაგრამ ეს საკითხი უკვე გარკვეულია — ანელკა „სიტიში" რჩება. სამწუხაროდ, არც ხავიერ სავიოლასთან გამოგვდის არაფერი, რადგანაც „ბარსელონა" მასში ძალიან დიდ ფულს ითხოვს" — აღნიშნა პრინცმა ალბერტმა.

**ბრაზილიელ** ფორვარდ ჯოვანი ელბერის მოტეხილობა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ჩანდა. დაწვრილებითი გამოკვლევების შემდეგ ექიმებმა განაცხადეს — ჯოვანი სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებსო. შეგახსენებთ, რომ მან ეს ტრავმა „მეცისა" და „ლიონის" მატჩში მიიღო, როდესაც საჰაერო ბრძოლის შემდეგ მიწაზე უხერხულად დაეცა.

**იაპონური** „კასივა რეისოლის" ბრაზილიელი ფეხბურთელი დუდუ და მისი აგენტი მზად არიან, მოსკოვის ცსკა-სთან კონტრაქტი გააფორმონ, თუმცა ჯერჯერობით წინააღმდეგია იაპონური კლუბი, რომელიც მეტ ფულს ითხოვს. დუდუს აგენტი გუშტავო ამორიო კი ყველანაირად ცდილობს მხარებს საერთო ენა აპოვნინოს.

**პორტუგალიური** „პორტუს" ახალწვეული დიეგო ქვეყნის სუპერთასზე „ბენფიკასთან" მატჩში დაშავდა და სულ მცირე სამი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს. შესაბამისად ბრაზილიელი ნახევარმცველი ევროპის სუპერთასის შეხვედრაში „ვალენსიას" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

**რუსულ** პრემიერლიგას კიდევ ერთი აფრიკელი ფეხბურთელი შეემატა. 19 წლის ნიგერიელი ნახევარმცველი სამარის „კრილია სოვეტოვში" გადაბარგდა. მხარეებმა 4,5 წლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. შესაძლოა, მომავალ შაბათს ნიგერიელმა „სპარტაკის" წინააღმდეგ ითამაშოს.

## გერმანია

### თასის პირველი ეტაპი

ზაარბრიუკენი 1:4 კიოლნი
პადერბორნი 4:2 ჰამბურგი
რეგენსბურგი 0:2 ვერდერი
ფორტუნა 1:3 ბოხუმი
ლიუბეკი 0:1 დორტმუნდი
ოსნაბრიუკი 3:2 აუე
ერფურტი 0:1 აინტრახტი
უნიონი 0:4 ფრაიბურგი
მაინცი (მ) 1:3 ლევერკუზენი
ჰერტა (მ) 0:2 შალკე
ჰანოვერი (მ) 0:3 ობერჰაუზენი
ვიოლჰკე 0:6 ბაიერნი
მეინი 0:6 შტუტგარტი
ჰოფენჰაიმი 1:2 ჰანზა
კარლ ცეისი 1:2დ.დ. (1:1) ფიურტი
დინამო დრეზდენი 1:2 კარლსრუე
კიოლნი (მ) 0:3 ვოლფსბურგი
აინდლინგი 0:1 ჰერტა
ბაიერნი (მ) 1:1დ.დ. (1:1, 7:6 პენ.) გლადბახი
შონეიხი 1:2 მიუნხენ 1860
ნოიმიუნსტერი 0:3 ჰანოვერი
ესენი 0:2 ალემანია
აალენი 2:5 მაინცი
ვატენშაიდი 1:3 ტრირი
პლაუენი 1:2 არმინია

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XVIII ტური

ბრანი 2:1 სოგნდალი
ლილესტრიომი 1:1 მოლდე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 18 | 10 | 6 | 2 | 39:20 | 36 |
| ტრომსიო | 18 | 10 | 2 | 6 | 30:23 | 32 |
| ბრანი | 18 | 9 | 2 | 7 | 32:29 | 29 |
| ლილესტრიომი | 18 | 7 | 7 | 4 | 37:22 | 28 |
| ვოლერენგა | 18 | 7 | 7 | 4 | 21:17 | 28 |
| ჰამ კამი | 18 | 7 | 6 | 5 | 25:25 | 27 |
| ლინი | 18 | 6 | 7 | 5 | 22:19 | 25 |
| ბოდიო გლიმტი | 18 | 7 | 3 | 8 | 25:30 | 24 |
| ოდ გრენლანდი | 18 | 5 | 7 | 6 | 29:31 | 22 |
| მოლდე | 18 | 4 | 8 | 6 | 22:25 | 20 |
| ვიკინგი | 18 | 3 | 10 | 5 | 17:24 | 19 |
| სტაბეკი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:28 | 19 |
| სოგნდალი | 18 | 3 | 6 | 9 | 27:36 | 15 |
| ფრედრიკსტადი | 18 | 4 | 3 | 11 | 26:41 | 15 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. III ტური

ბრნო 1:0 სლოვაცკო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრნო | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| სპარტა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| სიგმა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბანიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ტეპლიცე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ზლინი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| მლადა ბოლესლავი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| იაბლონეცი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სინოტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| პრჟიბრამი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ლიბერეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ოპავა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| ბლშანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბუდეიოვიცე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| დრნოვიცე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XVII ტური

ტრელებორგი 0:0 კალმარი
აიკ 1:3 ლანდსკრონა
ჰალმსტადი 1:0 სუნდსვალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 17 | 10 | 4 | 3 | 36:19 | 34 |
| მალმიო | 16 | 9 | 5 | 2 | 28:11 | 32 |
| გიოტებორგი | 17 | 9 | 4 | 4 | 22:12 | 31 |
| ჰამარბი | 17 | 8 | 4 | 5 | 21:17 | 28 |
| კალმარი | 17 | 6 | 8 | 3 | 19:14 | 26 |
| ელფსბორგი | 17 | 6 | 5 | 6 | 17:23 | 23 |
| იურგორდენი | 17 | 5 | 7 | 5 | 23:24 | 22 |
| სუნდსვალი | 17 | 5 | 6 | 6 | 18:20 | 21 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 5 | 5 | 6 | 31:21 | 20 |
| იორებრო | 17 | 4 | 6 | 7 | 20:33 | 18 |
| აიკ | 17 | 4 | 5 | 8 | 13:22 | 17 |
| ლანდსკრონა | 17 | 3 | 7 | 7 | 17:25 | 16 |
| იორგრიტე | 17 | 3 | 7 | 7 | 15:23 | 16 |
| ტრელებორგი | 17 | 2 | 5 | 10 | 13:29 | 11 |

## ბელგია

### პირველი დივიზიონი III ტური

გენკი 2:1 ლოკერენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| მუსკრონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ლუვიე | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ვესტერლო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| გენკი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბეერსხოტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ანდერლეხტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| სტანდარდი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ლიერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ლოკერენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| შარლერუა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| გენტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| მონსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ბევერენი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ბრიუსელი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| სერკლი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| ოსტენდე | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |
| სენტ ტრუიდენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. III ტური

ლეგია 0:0 ზაგლებე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 3 | 3 | 0 | 0 | 12:1 | 9 |
| ლეხი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| გროცლინი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| გურნიკი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| ამიცა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ლეგია | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ზაგლებე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| კრაკოვია | 3 | 1 | 0 | 2 | 8:8 | 3 |
| ოდრა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ლეჩნა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| პოგონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| პოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| პლოცკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| კატოვიცე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. V ტური

ბრეგენცი 0:9 აუსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 6 | 5 | 0 | 1 | 8:3 | 15 |
| რაპიდი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:3 | 14 |
| აუსტრია | 6 | 2 | 3 | 1 | 15:6 | 9 |
| ადმირა | 6 | 3 | 0 | 3 | 12:8 | 9 |
| ზალცბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 9 |
| ტიროლი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:8 | 9 |
| პაშინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| შტურმი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:8 | 6 |
| მატერსბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ბრეგენცი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:25 | 1 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. IV ტური

ლე მანი 3:0 ლავალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეიმსი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| სედანი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| ბრესტი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| დიჟონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| გენიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ლე ავრი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| გრენობლი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:9 | 7 |
| ნიორი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ლორიანი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ლავალი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| კლერმონი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:4 | 5 |
| ლე მანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| ამიენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ტრუა | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| ნანსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ანჟე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| მონპელიე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| კრეტეი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| გენგამი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| შატორუ | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიგარქი ევერტონში

## რუსის და რუნის უარი

**ბოლო რამდენიმე დღეა, დიდ ხმაურშია „ევერტონი", რომელსაც თითქოს ახალი პატრონი, რუსი მილიონერის, ბორის ზინგარევიჩის ვაჟი, 23 წლის ანტონი გამოუჩნდა. ლაპარაკი ასე იყო, რომ რუსული ხე-ტყის მაგნატის შვილს ღარიბი კლუბის საკონტროლო პაკეტი 20 მილიონ გირვანქად უნდა ეყიდა. ოღონდაც, გუშინ დილით უფროსი ზინგარევიჩის პრეს-მდივანმა ყველაფერი უარყო: „რამდენადაც ჩვენ ვიცით, ანტონი არ აპირებს „ევერტონის" ყიდვას"**

„ევერტონი" კი აპირებდა საბჭოს სხდომა მოეწვია ორშაბათს, რათა იქ ლამის უკვე გაჩარხული ინვესტიციის ამბავი განეხილა. ზინგარევიჩის პრეს-მდივანმა კი თქვა: „ჩვეულებრივ, ჩვენ არ ვლაპარაკობთ ხოლმე წილების ყიდვის შესახებ, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი შემთხვევა. ძალიან დიდი ხმაურია. ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ — არც ბორის ზინგარევიჩი და არც მისი ვაჟი უცხოეთში სპორტული კლუბის ყიდვას არ აპირებენ".

„ევერტონის" თავმჯდომარის, ბილ კენრაიტის მთავარი მეტოქე, პოლ გრეგი, რომელსაც კლუბში 15-მილიონიანი ინვესტიცია მოჰქონდა და ეს საქმე შეუჩერეს, ამბობს, რომ სანამ ზინგარევიჩის ფულზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, საქმე კარგად უნდა გაეჩარხათ, საორშაბათო საბჭოს სხდომა კი მოუმზადებელი იყო და ამიტომაც გადაიდოო.

მამა ზინგარევიჩი კი უარყოფს ამ საქმეს, მაგრამ შვილი ფეხბურთის გიჟი ჩანს და მაინც ძალიან მოწადინებული ყოფილა. მას ბრუნეიში რეგისტრირებული სპორტული ფონდი აქვს. თავად „ევერტონიც", თავის განცხადებაში უარყოფდა, რომ უფროს ზინგარევიჩს რაიმე კავშირი აქვს ამ ყიდვასთან, თუმცა, მისი ვაჟი რომ შეთანხმების უკან იდგა თავისი ფონდით, უტყუარია. ამ ფონდს შვიდი ინვესტორი ჰყავს. ამათგან ერთია კრისტოფერ სამუელსონი, რომელმაც თქვა, რომ სურს „ევერტონი" მომგებიან ბიზნესად აქციოს.

სამუელსონი „მუჩუალ ტრასტის" შეფია, ეს კი ყოფილი მეწილეა „ვალმეტისა", რომელიც თავის მხრივ „მენატეპის" საკუთრება იყო. სწორედ იმ ჰოლდინგის, რომლითაც აწ ციხეში მყოფი რუსი მილიარდერი მიხაილ ხოდორკოვსკი თავის „იუკოსს" მართავდა.

მაგრამ შევეშვათ ამ რუსულ ლაპარაკებს და „ევერტონს" დავუბრუნდეთ, რომელმაც ასევე გუშინ უარი უთხრა „ნიუკასლს" უეინ რუნის მიყიდვაზე. ჯორდები 20 მილიონ გირვანქას იხდიდნენ, მერსისაიდელები კი იმ დღეს ელოდებიან, როცა რუნის ფასი 30 მილიონს უწევს. 18 წლის ბიჭზე, რომელიც კიდევ ორ კვირას ვერ ივარჯიშებს ევრო 2004-ზე მოტეხილი ფეხის გამო, თვალი „ჩელსისა" და „მანჩესტერსაც" უჭირავთ. „ნიუკასლმა" ახლახან მიჰყიდა „რეალ მადრიდს" მცველი ჯონათან ვუდგეიტი 13,4 მილიონ გირვანქად და რახან ფული გაუჩნდა, ვაჭრობაც წამოიწყო. კლუბის თავმჯდომარემ, ფრედი შეპარდმა თქვა: „ფანები სასიამოვნო სიურპრიზებს უნდა მოელოდნენ ვუდგეიტის გაყიდვით. ჩვენ გეგმა გვაქვს". ჰოდა, პირველი ცდა რუნი ყოფილა.




თუმცა, ეს ცდა არ მოეწონა „მანჩესტერის" შეფს დევიდ გილს, ამგვარი შეთავაზება ბიზნესმენისთვის ცუდიაო: „ჩვენ ხვალვე ვისესხებთ ფულს და 30-40 მილიონს შევთავაზებთ „ევერტონს". მაგრამ, ეს ბიზნესს არ წაადგება. არ შეიძლება მოკლე საქმისთვის გრძელვადიანი ვალი აიღო".

**ირაკლი გამყრელიძე**

**ლონდონის „ჩელსის" უძვირფასესმა მცველმა რიკარდუ კარვალიუმ, რომლის სანაცვლოდაც რომან აბრამოვიჩმა 30 მილიონი ევრო გადაიხადა, პრემიერლიგის პირველ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედთან" მხოლოდ ორი წუთით, შეცვლაზე ითამაშა. მომდევნო მატჩში „ბირმინგემთან" პორტუგალიელი ძირითად შემადგენლობაში იყო და 90 წუთი გაატარა მოედანზე. კარვალიუ ინგლისურ ფეხბურთთან შესაგუებლად დროს ითხოვს.**

# კარვალიუმ დრო მოითხოვა



„ეს ჩვეულებრივი ამბავია. ვინც აქ ჩამოდის, გარკვეული პერიოდი სჭირდება, რომ პრემიერლიგურ ყაიდას მოერგოს. დარწმუნებული ვარ, ბევრს სურს ინგლისში თამაში, მაგრამ ალბათ ყველა ვერ შეძლებს".

ჟოზე მაურინიუს მაღალი კლასის შვიდი მცველი ჰყავს, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან. კარვალიუს მოსწონს ასეთი ვითარება: „აქ იმიტომ ვართ, რომ ძლიერ მცველებად მიგვიჩნიეს, კონკურენცია კი ცხაპირი ოფლის მოღვრას გვაიძულებს. შეჯიბრი კარგია, ხოლო საუკეთესოს მწვრთნელი კონკრეტული მატჩისთვის შეარჩევს. ამით თითოეული ჩვენგანის თამაშის ხარისხი გაუმჯობესდება".

26 წლის პორტუგალიელს მარსელ დესაის შემცვლელად მიიჩნევენ (ფრანგის 6-ნომრიანი მაისურა მას ჩააბარეს), რომელიც „ჩელსის" ქომაგთა ჯილა იყო. „დესაის თამაშით აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ ყველას თავის დრო აქვს და ახლა ჩემი ჯერი მოვიდა".

რიკარდუ კარვალიუს სჯერა, რომ ჟოზე მაურინიუს „ჩელსი" „პორტუსავით" ძლიერი გუნდი გახდება: „მაურინიუს გამარჯვებული კაცის სული აქვს და ეს ფეხბურთელებზეც გადადის. სჯერა თავისი მოთამაშეებისა, თან თავად ახალგაზრდა და ამბიციურია, ამიტომაც წავიდა პორტუგალიიდან ინგლისში, უფრო მაღალი დონის ლიგაში. მაურინიუმ ზუსტად იცის, რა უნდა. მას მხოლოდ ჩემპიონობა სურს და ჩვენც ამისთვის განგვაწყობს".

„ჩელსის" უძვირფასესმა მცველმა ჩემპიონთა ლიგაში „პორტუს" ტრიუმფიც გაახსენა: „ლიგის მოსაგებად მხოლოდ ფეხბურთის კარგად თამაში საკმარისი არაა. იღბალიც აუცილებელია. „მანჩესტერ იუნაიტედთან" მერვედფინალურ საპასუხო მატჩში ბოლო წუთზე გოლი რომ არ გაგვეტანა, მეოთხედფინალში ვერ გავიდოდით. „ჩელსიში" ძალიან ძლიერი ფეხბურთელები შევიკრიბეთ და პრემიერლიგა კარგად, ორი მოგებით დავიწყეთ. ცოტა იღბალი თუ წაგვეხმარება, ჩემპიონობასაც შევძლებთ.

რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრებს, ფინალში მარცხი დასანანია, მაგრამ ჩვენ კარგად ვითამაშეთ და ნიჭიერი მომავალი თაობის გვეიმედება. ლუიშ ფიგუმ თქვა, რომ ნაკრებისგან დროებით დავისვენებო, თუმც ვფიქრობ, ფიგუ პორტუგალიისთვის უმნიშვნელოვანესი კაცია და უკეთესი იქნება, თუ არ დაგვტოვებს".

**გაგა ხუციშვილი**

# რეალი ვან ბომელს ეძებს




ჰოლანდიური გაზეთების მტკიცებით, მადრიდის „რეალი" პსვ-ს გამოცდილი მცველის, მარკ ვან ბომელის შეძენას აპირებს. სამეფო გუნდს მისი ყიდვა ჯერ კიდევ ორი წლის წინ სურდა, მაგრამ „რეალის" მაშინდელმა სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ საწადელი ვერ აისრულა.

მადრიდულ „ასს" თუ ვენდობით, მარკ ვან ბომელს სამშობლოში მცირე ხნის წინ თურმე „ბარსელონას" ემისრებმაც ჩააკითხეს, მაგრამ იქაურებს თავაზიანი უარით გაუსტუმრებიათ — თქვენამდე „რეალის" აგენტებმა გვინახულესო. თავად მადრიდელები კი პსვ-სთან მოლაპარაკების ფაქტს ჯერჯერობით არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.

მარკ ვან ბომელი 27 წლისაა, ეინდჰოვენში მისვლამდე „ფორტუნა სიტარდში" ბურთაობდა. პსვ-ში იქაურთა სახელგანთქმული დამრიგებლის, გუს ჰიდინკის რჩეული ფეხბურთელია — სწრაფია და ფიზიკურად ძლიერი. ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში 19 მატჩი ჩაატარა, თუმცა ტრავმის გამო პორტუგალიურ ევრო 2004-ში მონაწილეობა არ მიუღია. ვან ბომელს „ნარინჯისფერთა" ახალი მწვრთნელი, ლეგენდარული მარკო ვან ბასტენიც სრულად ენდობა. გასულ ოთხშაბათს ჰოლანდია — შვედეთის ამხანაგურ მატჩში მეტოქის კარში გოლი სწორედ „რეალის" სასურველმა მოთამაშემ შეაგდო. გარდა მადრიდელი გალაქტიკოსებისა, ჰიდინკის შეგირდის გადაბირება რამდენიმე წამყვან იტალიურ კლუბსაც სურს.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
